# სახალხო გაზეთი

№ 339 ოთხშაბათი, 29 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 339

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



დღესასწაულისა გამო შემდეგი №-რი გამოვა პარასკევს 1 ივლისს.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის ამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

**დ. ყვირილაში**

„ხორაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი“ ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანად ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.


დედა—ბაბილინა, და—ქეთო, ძმა—ვახილა, დეიდა მართა, დისწული თენგიზ და მისნი დანი ქეთო და თამარ ყლენტნი, მამიდა ლიდა, ძმისწული ლეონინა და ძმანი მისნი მიხაკო და დათიკო ვაჩნაძენი, დეიდა ელისაბედი, დისწული ვანო გოთუა, ბიძა ლომკაცი და ირაკლი აბაშიძენი, გიგო ყლენტი და ალექსანდრე ვაჩნაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ

**თამარ გლახუნას ასულ აბაშიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 ივნისს. (1—1370—1)

მღვდელი ირაკლი, მეუღლე მისი დარია გიორგის ასული, ძენი ივლიანე და ანტონ და ძმა ირაკლისა ბიჭია აბაშიძეები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ამა ივნისს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ს. ქალის წმ. გიორგის ეკლესიაში მე-8 კლასის მოწაფის

**მარუსიას**

სულის მოსახსენებლად. (1—699—1)


საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—80)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დავითაშვილი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

**ხოშოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. სადასურით. (წ.—1089—499)

მხოლოდ 1 ივლისამდე მიიღება ხელის-მოწერა.

## არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე: „ჩვენი საზოგადოებრიობა“.

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ვინც ამ წიგნზე ხელს 1 ივლისამდე მოაწერს, მათთვის წიგნი ეღირება 40 კაპ. წიგნში იქნება არა ნაკლებ 260 გვერდისა.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—17)



„ნამდვილი მეგობრობა“ („Настоящая дружба“).

ყოველთვის სჯობს მიმსგავსებულს მიუხედავად ყოველ-ნაირ ზომებისა ჩვენი პაპიროსების მიმსგავსებას მაინც განაგრძობენ და ვრცელდება. ეხლახანს აღმოვაჩინეთ ახალი შემთხვევა სიყალბისა ჩვენი პაპიროსის „მეგობრობა“-ზე („Дружба“)

(20 ცალი 6 კაპ.) კიდევ ვაფრთხილებთ მყიდველთ, რომ მიაქციონ ყურადღება საფ. ნიშანსადა ფირმას. (3—1366—2)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

## „კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ „კოლხიდა“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. შუშაძე


## გამგეობა

ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის

## საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ ბანკის საზოგადო წევრთა საგანგებო კრება დანიშნულია ამა წლის 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ადგილობრივ კლუბის დარბაზში, ნაცვლად 12 ივნისის კრებისა, რომელიც არ შესდგა.

განსახილველი საგნებია: არჩევა ერთის გამგეობის წევრისა, ნაცვლად აბო საყვარელიძისა, და აგრეთვე არჩევა სამი საბჭოს წევრისა, ნაცვლად ა. წერეთლისა, ა. აბაშიძისა და დ. მახარაძისა.—გამგეობის მოხსენები რამდენიმე საკითხზე (3—1371—1)

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება

დანიშნულია დღეს, ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე ქართულ თეატრში.

კრება მოხდება დილის 11 საათზე. (1—700—1)


## ვკისრულობთ

თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—9) იკითხეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

## სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.

მსურველთ ეგზავნებათ დაწვრილებითი ცნობები.

(10—660—8) მისამართი: ზოტიკოვი, პატარა ცემი ექიმს ვ ღამბაშიძეს.

„ახალი კლუბი“ ოფიციალურად გაიხსნება შაბათს, 2 ივლისს, 1911 წ. ამ დღის პროგრამა ცალკე გამოცხადდება; გახსნამდე კი კლუბის მოქმედება დაიწყება 21 ივნისიდან, მხოლოდ წევრთათვის და სტუმართათვის. სტუმართა კლუბში შესავლელი ფასი ღირს კაცებისთვის 50 კაპ., ქალებისათვის და სტუდენტთათვის 25 კ. არის სეზონის ბილეთებიც. (5—1347—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. ვ. ხოშოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** (წლ.—1090—96)

### სურამში

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

### ქუთაისში

### ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ. იოსელიანის სახლი. (თ.—1321—21)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა

**ექიმი ი. ვ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ი—86

**ექიმი** კბილისა **ისიდორე ჩანტურია**

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329.—17)

### ახალსთუმანში

კბილის ექიმი

### ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—12)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ.. N 20. (წ.—1249—49)


## ტფილისი, 29 ივნისი.

**პორტუგალიის კონტრ-რევოლუცია.**

ახალ წეს-წყობილებას არასოდეს არ მოუკიდია ფეხი ერთბაშად. ძველი ფორმები მმართველობისა, რომელთაც ხანგრძლივი წარსული აქვთ, დიდხანს რჩება ხალხის მეხსიერებაში. ამიტომ ხშირად ახალ ფორმების წინააღმდეგ ილაშქრებს არა მარტო ის ელემენტი, რომელიც პირადად არის დაინტერესებული ძველი ფორმების შენარჩუნებაში, არამედ ხალხიც. კონსერვატიულად აღზრდილი ელემენტებს ადვილად შეუძლიანთ კერძოობით აჯანყებით თუ სხვა რამ გზით ბევრი უსიამოვნება მიაყენონ იმათ, ვინც წინ მიდის და მმართველობის ახალ ფორმების შემოღებას სცდილობს. ძველ ისტორიას რომ თავი დავანებოთ, ახალი მაგალითებიც ბევრი გვაქვს. მოიგონეთ სპარსეთის მოძრაობა, ოსმალეთის რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია, რომელიც საბოლოოდ ახალგაზრდა ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა.

ასეთივე ამბავი გამეორდა პორტუგალიაშიაც. რესპუბლიკანურ წეს წყობილებას, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად დამყარდა პორტუგალიაში, რა თქმა უნდა, ყველა ელემენტი ერთნაირად ვერ შეეგუა. განსაკუთრებით მოუსვენრად იყო კონსერვატიული სამღვდელოება, რომელსაც მაგრად უკიდია ფეხი პორტუგალიაში. უკმაყოფილება თანდათან იზდებოდა და ბოლოს საქმე კონტრ-რევოლუციამდე მივიდა.

როგორც კანტი-კუნტად მოსულ ცნობებიდან სჩანს, კონტრ-რევოლუცია, რომელიც ამ ჟამად მეზღვაურებმა მოახდინეს, დამარცხებულია. ლისაბონში დიდი შეტაკება მოსვლიათ მეზღვაურებსა და ხალხს, რომელიც რესპუბლიკანურ მთავრობის ჯარს ეხმარებოდა. ასეთია ის ცნობები, რომლებსაც ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ. ბერლინიდან კი იუწყებიან, ინგლისურ გაზეთების მიერ გამოქვეყნებული ცნობები გადაჭარბებულიაო. ადვილად შესაძლებელია ეს, მართლაც, ასე იყოს, მაგრამ პორტუგალიის ახალ წეს-წყობილებას რომ ბევრი შინაური მტერი ჰყავს, ეს მაინც ეჭვს გარეშეა. ეს მტრები ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოისვენებენ, მაგრამ განვლილი დრო მაინც ცხადად გვაჩვენებს, რომ რესპუბლიკანურ მართვა გამგეობას პორტუგალიაში საბოლოოდ არავითარი საფრთხე არ მოელის.

ბრძოლის ხანამ გაიარა. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მთავრობაც შემოქმედებითს, დადებითს მუშაობას შეუდგა და ვერავითარი კერძოობითი აჯანყებანი ძირს ვერ გამოუთხრიან პორტუგალიის რესპუბლიკანურ მართვა გამგეობას...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენში კარგად ცნობილი მ. ვოსტორგოვი, არც რუსეთშია უჩინარი. მის ღირსეულ მოღვაწეობას არც იქ ივიწყებენ და დრო და დრო ამხეურებენ საქმეთა მისთა, რათა ობი არ მოეკიდოს.

ამხანად ვოსტორგოვის მოღვაწეობას ბ-ნი დურნოვო ეხება. იგი აღნიშნავს, თუ მამა ვოსტორგოვმა როგორ „მოაკვარახჭინა“ თავისი კერძო საქმეები და რამდენი თანამდებობა იგდო ხელში. ავტორი ამბობს:

„უწინარეს ყოვლისა, იგი (ვოსტორგოვი) სინოდის მქადაგებელ-მისიონერია. სანამ იგი პეტერბურგში მივიდოდა, ეს თანამდებობაც არ არსებობდა. ეს რა თანამდებობაა—ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში ეს თანამდებობა არც ეკლესიური, და არც კანონიური.

**მეორე**—იგი სასულიერო სასწავლებელთა კომიტეტის წევრია, რისთვისაც კარგი ზირაქი გასამრჯელო ეძლევა.

**მესამე**—იგი სამრევლო სკოლების სათვალყურეა, რაშიაც წელიწადში სამას თუმანს იღებს.

**მესამე**—სასულიერო საცენზურო კომიტეტის წევრობაში 1,200 მანეთი ეძლევა.

**მეხუთე**—ორმა გაზეთმა, რომელთა გამოსაცემად აუარებელ დახმარებას ღებულობს, თქვენი ჭირი წაიღო.

**მეექვსე**—რედაქტორია ორი ჟურნალის, რომელიც მუდამ ზარალობს.

განა არა კმარა?..

სულის მაცხონებელ ღმერთსაც ხომ უნდა ადიდებდეს როდისმე? თუმცა ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორიც მამა ვოსტორგოვია, ღმერთისთვის სადა სცალიან. ვინც ღმერთსა და მის ეკლესიაზე ფიქრობს, იგი არც მამონს ემსახურება და არც პოლიტიკურ საქმეებს აწარმოებს, არც აგიტაციას ეწევა.

მამა ვოსტორგოვი კი რადაც მონარქიულ წრეებსა ჰხელმძღვანელობს, საარქიელო სასახლეში უვიც ხალხს აგროვებს, აწიოკებას უპირებს არა მარტო „ურიებს“, არამედ ტოლსტოის მიმდევართ, ქართველთ, მოლდავანთ, პოლონელთ და ყველა სხვა სარწმუნოებაეროვნების ხალხს. სხვა და სხვა ეროვნებათა ურთი-ერთის წინაალმდეგ ამამხედრებელი წაქეზება, ძალმომრეობის მოძლიერება-ქადაგება, მძულვარება და სხვა არა ერთხელ აღნიშნულა მოსკოვის გაზეთებში.

ფუფუნება-განცხრომაში ჩაფლული ვოსტორგოვი სიამოვნების ნექტარს ხარბად ეწაფება. მოსკოვის სამი გამოჩენილი მონასტერი (ნოვისპასკისა, დონისა და ზაიკონოსპასკისა), ვოსტორგოვის მეგობრებს ჩაუგდეს ხელში. ამათგან—სამი მისი თანამოსამსახურეა ქართველთა გარუსების საქმეში, ერთი კი—მ. მაკარი გნევუშევი—თავის საგმირო საქმეებით დიდი ხანია კიევისა და მოსკოვის გაზეთებმა ღირსეულის ქებით შეამკეს.

ეს ოთხივე წინამძღვარი საერთოდ 60 ათას მანეთს ღებულობენ წელიწადში.

ლუკულოვის მონასტერში გამართულ ნადიმებზე, რომელსაც ზემოაღნიშნულ მონასტრის კრებული ჰმართავდა მამა ვოსტორგოვის მონაწილეობით, სადაც მისი მოთაყვანე მშვენიერ სქესის წარმომადგენელნიც ესწრებოდნენ ხოლმე,—არა ერთხელ გვსმენია...

აი, რუსეთში ვის უღიმის ბედი, ვინა სჭამს ქადას ორივე ხელით“.

* * *

გაზეთ „უტრო“-ში პროფ. ა. ლ. პოგოდინი ეხება პოლონეთის დემოკრატიულ პარტიის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პოლონეთში მოიხსნას ბოიკოტი რუსულ სასწავლებლების წინაალმდეგ. ამ გადაწყვეტილებამ თითქმის ორ ბანაკად დაჰყო პოლონური პრესა. ამ პარტიის რეზოლიუციამ თანაგრძნობა გამოიწვია ზომიერ პარტიებში. „დენ“, რომელიც ახლოს დგას პროგრესიულ წრეებთან, აძლევს მას პრინციპიალურ მნიშვნელობას. წინააღმდეგნი კი არიან, როგორც უკიდურესი მემარჯვენენი („გონეც“), აგრეთვე უკიდურესი მემარცხენენი.

ფაქტიურად თურმე ბოიკოტის საქმე თანდათან ჰკარგავდა თანამგრძნობთ, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება დიდს შემწეობას უჩენდა ახალგაზდების საზღვარ-გარედ ჰგზავნას, მაინც წლითი წლამდე უფრო და უფრო იზრდებოდა. „შტრეიკბრეხერთა (ბოიკოტის დამრღვევთა) რიცხვი. პ. დ. პარტიამ ამის შესახებ რამოდენიმე დასაბუთებული რეზოლიუცია მიიღო, მაგრამ ამ რეზოლიუციების მოწინაამდეგენი აღნიშნავენ, რომ ეს პარტიამ იმ მოსაზრებით ჩაიდინა, რომ უკანასკნელად კიდევ ეთამაშნა ხელმძღვანელის როლი, თორემ ბოიკოტი ამ მოკლე ხანებში თითონ თავის თავად მოისპობოდათ.

მე არა მგონია, რომ ეგ მოსაზრება მართალი იყოს,—სწერს პრ. პოგოდინი.—პარტიის ასეთ საქციელს ის მორალური მნიშვნელობა აქვს, რომ პოლონელთა ვრცელი წრე იმ სირცხვილისაგან მაინც განთავისუფლდება, რომელიც ბავშვების მთავრობის სასწავლებელში მიცემა შეადგენდა; სულ ერთია ისინი იძულებულნი იყვნენ ბავშვები ამ სასწავლებლებში მიეცათ. „ვარშავის გაზეთი“ ამტკიცებს, რომ ბოიკოტის განგრძობა თავის-თავის მოკვლის მსგავსი იქნებოდათ.

შემდეგ პროფესორი ჰკითხულობს: პოლონეთის ახალ-გაზდობა შეიცვლის განწყობილებას რუსულ სკოლასთან და გადაწყვეტილ პასუხს ვერ იძლევა.

ვარშავის უნივერსიტეტსა და პოლონელ საზოგადოების შორის კიდევ უფრო გაღრმავდა არსებული ჯურღმული. უკეთესი იქნებოდა, მთავრობაც მიჰგებებოდა საზოგადოების ასეთ შერიგების სურვილს. საჭირო იყო დაენიშნათ პოლონურ კათედრებზე, 1895 წლის დაპირებისამებრ, პოლონელი პროფესორები, რომელთაც ახლა არ უშვებენ უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკუმში; და დასასრულ, რაც უფრო საყურადღებოა, ნება უნდა დაერთოთ საშუალო სასწავლებლის მოწაფეთათვის დასამთავრებელი ეგზამენები მთავრობის წარმომადგენლების დასწრებით მაინც დაედგინათ, თუ პოლონურ გიმნაზიებს მთავრობის გიმნაზიებთან არ გაათანასწორებდნენ. განა შესაძლებელია ამაზე ნაკლები მოთხოვნები და ესენიც კი საეჭვოა განხორციელდნენ. განა შესაძლებელია მმართველობა მხოლოდ ძალდატანებით, მხოლოდ იმ საჭიროების წყალობით, რომელმაც ახლა პ. დემ. პარტია აიძულა ბოიკოტი მოეხსნა? იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში კონსტიტუციის განმტკიცებით მოვა დრო ნამდვილი ნაციონალიზმისაც.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე** გუშინ ტფილისიდან თავის ეპარქიაში გაემგზავრა.

✦ **ნაძალადევლნი და საქალაქო ადგილები.** როგორც მკითხველებს თავის დროზე ვაცნობეთ, ქალაქის საბჭომ დაადგინა, ხელ-ახლა შეფასებულ იქმნეს ნაძალადევისა და ლოტკის გორის საქალაქო მიწები და მოიჯარადრეებს მიჰყიდოს. ნაძალადეველთ, კარგა ხანია, ამ მიწების საკუთრებად შეძენა სურთ, მაგრამ ხელს უშლით ნივთიერი ხელმოკლეობა. ამიტომ მათ გუშინ ქალაქის გამგეობას საერთო თხოვნა მიართვეს, ნება დაგვრთეთ, ეს მიწები რომელსამე ბანკში დავაგირაოთ, რათა შეძლება მოგვეცეს ქალაქს ერთბაშად მივცეთ ფული. ქალაქის გამგეობა როგორც ეტყობა, არ არის წინაალმდეგი ამ თხოვნის დაკმაყოფილებისა, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა შეეხება საბჭოს, რომლის პირველი კრებაც მხოლოდ შემოდგომაზე მოხდება.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის** საოლქო სამმართველოს გვერდით (ოლღას ქუჩის დასაწყისი) ახალ შენობას აგებენ, სადაც მოათავსებენ ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის მთავარ კანტორას. შენობა სამსართულიანი იქნება. მესამე სართული უკვე დაწყებულია და სცდილობენ სექტემბრამდე მოათავსონ შენობის ერთი ნაწილი, რათა სექტემბერშივე გადაიტანონ იქ სატელეფონო და სატელეგრაფო განყოფილება. ტელეფონის ახალი (მიწის ქვეშ) მავთულების მთავარი შტოც აქედან იწყება.

✦ **სენატორი ვატაცი** დღეს ანში მიემგზავრება, სადაც არქეოლოგიურ ნაშთებს დაათვალიერებს. მასთან ერთად ანში მიემგზავრებიან კავკასიის მუზეუმის დირექტორი პოლკოვნიკი კაზნაკოვი, ექვთიმე თაყაიშვილი და ა. ა. ქალანთარი.

✦ **სკამები ქუჩებზე.** მოკლე ხანში ტფილისის ქუჩებზე სკამებს დასდგამენ. ერევნის მოედანზე დასდგამენ 3 სკამს, სოლოლაკის ქუჩაზე—4, პუშკინისა—3, გოლოვინის პროსპექტზე—58 და მიხეილის ქუჩაზე—30.

✦ **ტფ. გუბერნატორი** სამსახურის საქმეთა გამო ტფილისის მაზრაში გაემგზავრა, საიდანაც ორი დღის შემდეგ დაბრუნდება.

✦ **ჯიბგირები** ამ ჟამად მრავლად მოიპოვებიან ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სადაც ხალხსა სძარცვავენ. როგორც დღისით, ისე ღამით ისინი მუდამ პოულობენ მსხვერპლს და დაუსჯელად დანავარდობენ. კარგი იქნება განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს ამ ადგილს.

✦ **საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო** საზოგადოებას ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანმა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის „რჩილიანის“ ხელთნაწერი შესწირა.

✦ **ქალაქის გამგეობა** უკვე შეუდგა ამომრჩეველთა სიების შედგენას. დანამდვილებით გადმოგვცემენ, რომ მუშაობა ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება, ამომრჩეველთა სიას აგვისტოში გამოაქვეყნებენ.

## წვრილი ამბავი

✦ 28 ივნისს, ღამით, მიხეილის ქუჩაზე სწრაფად მიჰქროდა ავტომობილი № 40, რომელიც ერევნის მცხოვრებ ერემია ოჯანეზის ძე ახუმოვს ეკუთვნის. ავტომობილი „აპოლო“-ს პროექტორის პირდაპირ მდგარ მოდარაჯე მეეზოვეს კრიჟად მადოვს დაეჯახა და საშინლად დაასახიჩრა. დაშავებულის მდგომარეობა საშიშია.

✦ 27 ივნისს საერთო ჩხრეკა დაპატიმრების დროს ტფილისში შეიპყრეს 33 უპასპორტო.

✦ მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებ ქამი მნაცაკან ელჩიევის მზარეულმა ქალმა ნადეჟდა პალიუტინმა პოლიციას განუცხადა: 27 ივნისს, ღამით, უცებ სახლის ზარი დამირეკეს; მეც კარი გავაღე და ორი უცნობი შემოცვივდა, მოხვეტა 1000 მან. ნივთები და გაიქცნენო. პოლიციამ გამოარკვია, რომ სახლის გაქურდვაში თვით მზარეულ ქალსაც მიუძღვის მონაწილეობა, ამიტომ დააპატიმრა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრების გაგრძელება დღეს დილით მოჰხდება ქართულს თეატრში.

## რკინის გზაზე

✦ 1 აგვისტოდან რუსეთის რკინის გზებზე ნავთის გადატან-გადმოტანაში ახალ ბაჟს შემოიღებენ.

✦ კავკასიის რკინის გზასთან ახლად შემდგარ საქველ-მოქმედო საზოგადოებაში ბევრი წევრი ჩაეწერილა. მოსამსახურეთა გარდა გარეშე პირნიც სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას. თუ მოსამსახურეთა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა, იმედია, ეს საყურადღებო საქმე სასურველ დონეზე დადგება.

## ახალსენაკი

✦ წ. კ. საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობამ 21 ივნისის სხდომაზე განიხილა ფრიად დიდ მნიშვნელოვანი განცხადება დ. ახალსენაკის დეპუტატთა და რწმუნებულთ, რომელთაც დაავალეს გამგეობას აღძრას მან შესაფერი შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა **ძველ სენაკის სამაზრო სკოლა დ. ახალ-სენაკში გადმოიტანონ.** გამგეობამ პატივსადებად სცნო ეს განძრახვა, მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ქალაქი საგრძნობელ ნივთიერ დახმარებასა ჰპირდება მომავალ სკოლას და დაადგინა: შესაფერის შუამდგომლობით მიჰმართოს მთავარ გამგეობას და ადგილობრივ გამგეობის ერთი წევრი მოქალაქეთა დეპუტაციასთან ერთად წარგზავნოს ქუთაისში სკოლის სამზრუნველოსთან მოსალაპარაკებლად.

## გორი

✦ **გორი.** ქვემო ახალქალაქის მცხოვრების მეუღლე, რომელსაც ბნედა სჭირდა, იმ დროს, როდესაც წისქვილის რუდან წყალს იღებდა, რუში ჩავარდა და დაიღრჩო.

## პროვინცია

✦ **ბორჯომი.** დაიწვა ზინოვიევის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი, რომელიც სპირიდონ ხუციშვილს ეკუთვნოდა.

✦ **კოჯორი.** ცხენით სეირნობის დროს ცხენიდან გზა-ტკეცილზე ჩამოვარდა ივანე ფანიაშვილი და გარდაიცვალა.

✦ **ს. შინდისი** ვრიგოლ ასრატოვი ნათესავებითა და ცოლით თამარით ტფილისიდან სოფელ შინდისში მიემგზავრებოდა სალოცავად. გზაზე ორი უცნობი შეიარაღებული თათარი დაუხვდა და ფული მოსთხოვა. როდესაც ასრატოვმა ფულზე უარი უთხრა, ერთმა უცნობმა ხანჯალი იძრო, ხოლო ასრატოვმა რევოლვერი ამოიღო და გაისროლა. ტყვით ერთი ბოროტ განმზრახველი დაიჭრა.

✦ **სოფ. კურსები** (ქუთაისის გუბერნია). უკვე ოთხი წელიწადია, რაც ეს სოფელი თითქმის კურორტად გადაიქცა. საუცხოვო მინერალური წყლებისა და მშვენიერი ჰავის გამო ყოველ წლივ აუარებელი მოაგარაკენი აწყდებიან. სამწუხარო და სასირცხვილოა, რომ აქ არ არსებობს არც სკოლა, არც სამკითხველო და არც რაიმე სხვა კულტურული დაწესებულება.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ № ჟურნალისტის დღიურში მესამე სვეტის ქვეიდან 7 სწკარში სწერია: რაკი თვე ციხე დაჰპირდა რედაქტორს... უნდა იყოს: რვა თვე ციხე დაჰპირდა რედაქტორს და სხვა.

## სიღნაღის აფ-კარგი

მკითხველი ალბად ბევრჯელ ამოიკითხავდა გაზეთების ფურცლებზე, რომ სიღნაღი უპატრონოდ არის დატოვებული, სიღნაღში არაფერი კულტურული დაწესებულება არ მოიპოვება, სიღნაღი ისეთ პირთ ჩაუგდიათ ხელში, რომელნიც უფსკრულისაკენ მიაქანებენ მასაო და ათასი სხვა. ეს სიტყვა სიტყვით რჩება და საქმით კი დღემდის არაფერი არ გვინახავს. ერთხელ სიღნაღში სამკითხველო ყოფილა, არ ვიცი რის მიზეზით დახურულა. გვიდა მის შემდეგ რამდენიმე წელიწადი, წიგნები სადღაც ლპება და ფიქრად არავის მოსდის ამისათვის იზრუნოს. რამდენიმე ინტელიგენტმა მითხრა: აქ ვერაფერი იზოგინებს, რადგან ქალაქი ერთ მუჭა შოვინისტებს ჩაუგდიათ ხელში და ორ ერთა შორის ღვარძლსა და მტრობას სთესავენო. განა ეს გასამართლებელი საბუთია? დიახ ვიცით, რომ აქ არიან ამნაირი ვაჟ-ბატონები, მაგრამ განა მათმა შავრაზმულმა ქცევამ ჩვენ სასოწარკვეთილებაში უნდა ჩაგვაგ

# ქართული ენა

### (თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა).

მეტად სავალალო სურათი იშლება ჩვენს თვალს წინ, ჩვენის თანამედროვე მწერლობის, განსაკუთრებით დროგამოშვებით, გამოცემათა, ენას რომ ვაკვირდებით, ჩვენთა თანამედროვე ქართველთა ლაპარაკს ყურს რომ ვუგდებთ... გულშემზარავი არეულ-დარეულობაა გამეფებული ამა თუ იმ საგრამატიკო ფორმის, გინა სიტყვების ხმარების დროს. უმეტესი წილი კალმოსანთა ისე სწერს, როგორც მოეგუნებება; ვისაც რა მოადგება კალმის წვერზე, დაუბრკოლებლად ქაღალდზე გადააქვს. თავს არავინ იცხელებს, თავისი ნათქვამი თუ ნაწერი კანონს რასმე დაუმორჩილოს; არავინა ზრუნავს, რომ ნაწერ-ნათქვამი სხვისათვის გასაგონ-მისახვედრი იყოს, აზრის ორჰოფობა არ გამოუვიდეს. ჭკუა და შამხილებელი არავინა გვყავს ჩვენის შეცდომისაო, ისე გავკადნიერდით, რომ ყოველი ჩვენთაგანი უკანონობას კანონიერებად ვასაღებთ, ვითომ საკუთარს კანონსა ვქმნით, და ეგრედ ხელს ვუწყობთ სრული ანარქია დავამყაროთ ქართულს ლაპარაკსა და წერაში. თავბრუდამხვმელის სისწრაფით მივექანებით იმ უფსკრულისაკენ, რასაც ენის არევა ჰქვიან...

ამ ათის წლის წინად, სანამ გაზეთი „ივერია“ გვქონდა, ჩვენი ენა ასეთს საფრხეში არა ყოფილა. ნეტარხსენებულის ილია ჭავჭავაძის ორგანო ჩვენში, სხვათა შორის, ქართულის ენის სკოლაც იყო. სხვაგან დევნილი ქართული ენა „ივერიაში“ ჰპოვებდა საფარველსა და მფარველთ. „ივერია“ იყო განსწმენდელი, საბალო ქართულის ენისა. ყოველს წერილს, თვით უბრალო, ორსტრიქონიან ახალ ამბავსაც კი, სასტამბავიდან ისე არ გამოუშვებდნენ, სანამ რამდენიმე საგანგებოდ ამისათვის მიჩენილი კაცი არ გადაჰხედავდა, შალაშინს არ გაჰკრავდა, მეტს ხორცს არ შემოაცლიდა, არ გაამშვენიერებდა, არ „გააქართულებდა“. ქართულის ენის მხრივ სულ უბრალო შეცთომა რომ აღმოეჩინათ გაზეთის დაბეჭდილს ნომერში, მთელი ალიაქოთი შეუდგებოდათ ხოლმე რედაქციაში. მთავარი მებაჟე ქართულის უხიაგობისა ბ-ნი გრ. ყიფშიძე იყო. იმის წყალობით ჩვენის ენის ყანას მრავალი ღვარძლი მოჰშორდა, მრავალი სიმშვენიერე შეეძინა. და ჩვენის მწერლობის და განსაკუთრებით ენის აღორძინების მეისტორიემ თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს ის ამაგი, რა ამაგიც ბ-ნმა ყიფშიძემ ჩვენს ენას დასდო!

აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ „ივერიის“ რედაქციის მიერ სამწერლო ენად მარტოოდენ ქართლის ქართული იყო მიჩნეული. ხოლო ყოველივე, რასაც „იმერული“ ელფერი გადაჰკრავდა, ულმობლად იდევნებოდა. და ეს დევნულება იმ ზომამდე მიდიოდა, რომ თვით იმერელ პოეტებსაც კი დიდი ფასი არა ჰქონდათ. ბ-ნ დათა მიქლაძის (ვეველეს), რომელიც ერთს დროს „ივერიის“ რედაქციის გამგედ იყო, ცდა რომ არა, გრ. აბაშიძის და ქ-ნის განდეგილის (დომინიკა ერისთავის ასულის) პოეტობაც შეიძლება დღეს უცნობი ყოფილიყო ქართველ საზოგადოებისათვის...

მაგრამ ასე იყო, თუ ისე „ივერიამ“ თავისი კალო გალეწა და ბოლოს „ცნობის ფურცელს“ გადაულოცა. ეს გაზეთიც „ივერიის“ ანდერძს პირნათლად ასრულებდა, და ეგრედ წოდებულ „განმანთავისუფლებელ“ მოძრაობამდე ქართულის ენის სიწმინდის დაცვის საქმეს ყველანი ხელს უწყობდენ. ხოლო ამ მოძრაობის შემდეგ აქაო და გაადვილდა გაზეთის გამოცემის უფლების მოპოებაო, ბრალიანმა და უბრალომ კალამს წაავლო ხელი, და ქართულის ენის შავი დღეებიც სწორედ ამ წუთიდან იწყება. გადაგვარების ტალღა მოაწვა ჩვენს ენას და ეს ტალღა ისეთი ძლიერი შეიქმნა, რომ თვით „ივერია—ცნობის ფურცლის“ ტრადიციათა დამცველ გაზეთებმაც ვერ გაუძლო, ისინიც კი ჩაითრია.

გვიმცირდება სამშობლოს ტერიტორია, სხვა ენებზე მოლაპარაკე ერნი სალტასებრ გვერტყმიან გარშემო და თანდათან ავიწროებენ ჩვენს გარშემო წრეს; ჩვენის ქვეყნის გულში, ტფილისში, ლამის მალე არც კი გაგვაგონონ ჩვენივე ენა... დევნილია ქართული სკოლიდან, დევნილია საზოგადო დაწესებულებათაგან; დევნილია ოჯახებში. დევნილია თვით ეკლესიებში; დევნილია ნასწავლისაგან, დევნილია უსწავლელის მიერ. მწერლობა და თეატრი-ღა შეგვრჩა, სადაც კიდევ ჰპოვებდა ქართული ენა, და დღეს ლამის აქაც ამოიჭამონ. ყველგან ლაფი ესხმის ჩვენს დედა-ენას, ყველასაგან იქირდება, ფეხით ითელვის; ჩვენის ხელით ყელსა ვსჭრით, ჩვენის ხელით სამარის კარებამდე მიგვყავს. შოთა რუსთაველისა და გიორგი მთაწმიდელის ენას ძვირფასი და უცხო სამოსელი შემოვსძარცვეთ. ერთის სიტყვით, ენა გასაჭირშია, დამახინჯების გზას ადგას, სულად მიწურულია. რაკი ენა დაგვიმახინჯდება, რაკი ჩვენის აზრის გამოსახატი იარაღი დაჩლუნგდება, გაჰქრება თვით აზროვნებაც, გაჰქრება თვით ამ ენაზე მოლაპარაკე ქართველობაც; პირველი რომ მოისპობა, მეორესაც ბოლო მოეღება. ერი უენოთ და ენა უეროდ არ გაგონილა.

დღეს ჩვენებურ ინტელიგენტის გინა ახალგაზდა მწერლის ქართულ ენის ლექსიკონი 700—800 სიტყვას არც კი აღემატება, თუ 1000-მდი ავიდა, დიდ ღვთისწყალობად უნდა ჩავთვალოთ. ე. ი. ველურთა ლექსიკონს ცოტათი ვჭარბობთ! ბევრი ვერაფერი ნუგეშია, თუ თქვენც დამეთანხმებით... თუ ამ სიტყვაძვირობას იმ უხერხულობასაც დავურთავთ, რა უხერხულობითაც ამ სიტყვებსა ვხმარობთ, ჩვენის მომავალის იმედის ნასახიც კი გაგვიქრება. ჩვენი ინტელიგენტი ქართულად რო წერს, მის ნაწერში ქართული მხოლოდ ასოებია, თვით ხმარება სიტყვისა და ამ სიტყვებისაგან შემდგარ წინადადებანი მონათლულ კაცს ყურით არ მოესმინება. ასე გგონიათ, ქაჯურათ მელაპარაკებიანო.

ამ ჟამად კიდენ დიდს ზრუნვაში ვართ ქართულს სიტყვებს თავი მოვუყაროთ და შედარებით სრული ლექსიკონი შევადგინოთ. ყოველდის მოწონებისა და წაქეზების ზრუნვაა; გარნა ნუ დავივიწყებთ, რომ სიტყვები მარტოოდენ მასალაა, ამა თუ იმ ხალხის ენის ასაშენებელი. რაღათ გვინდა ცარიელი მასალა, თუ დავივიწყებთ შენებას სახლისას, რაღათ გვინდა ლიტონი სიტყვები, თუ დავივიწყებთ მეტყველებას! ხომ გაგიგონიათ: კაი სიტყვა—კაი მთქმელი; კაი ღვინო კაი მსმელიო!

მართალია დიდი გასაჭირი მოგვადგა კარზე. მაგრამ ეს გასაჭირი გულს მაინც ნუ გაგვიტეხს, ფარხმალს ნუ დაგვაყრევინებს, ამ საერთო გაჭირვებამ ჩვენის ენისამ დეე ფეხზე დააყენოს ყველა გულშემატკივარნი მისნი, დეე ყველას შეაგნებინოს, რომ ეს საერთო უბედურობაა და რომ საერთო უბედურობას საერთო ძალით უნდა შებრძოლება; შებრძოლება უნდა დროით, სადღეისო საქმეს სახვალიოთ ნუ გადავსდებთ. ნუ დავივიწყებთ ხალხის ბრძნულ თქმულებას: მე-დღეს მეხვალიესაო უწვიმდეს და უთოვდესო. ჭირში მყოფს ყველანი მივეშველნეთ, რათა დაცემული ენა ფეხზე წამოვაყენოთ, მტერსა და დუშმანს მისი ქელეხი არ ვაჭამოთ. ზოგიერთმა პატარა ერმა არარისაგან მთელი მწერლობა გაიჩინა მოკლე ხანში და თვისის გამუდმებულის მეცადინეობით უზრუნველჰყო არამც თუ აწმყო ამ მწერლობისა, არამედ მისი მომავალიცა. ჩვენ ახალის შექმნა კი არა გვჭირია,—მოვუაროთ იმას, რაც წინაპრებმა მზამზარეულად გადმოგვცეს; სამშობლო ენის ყანას შემოვაცალოთ ჭარბათ მორეული ღვარძლი, ძალუმათ გავაშლევინოთ ფრთა; ჩვენს დახვეწილს ქართულს ენას ისევ დავუბრუნოთ თვისი პირვანდელი სიწმინდე და პატიოსნება.

ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ ამ წერილის საშუალებით აღვნიშნოთ, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც იმ უკანონობითა, რაც დღეს ჩვენს მწერლობასა და ლაპარაკში გამეფებულან. თანაც ვკადნიერდებით და მკითხველს ვუზიარებთ ჩვენს აზრს, თუ როგორ უნდა გავასწოროთ ესეთი შელახვა მართლმეტყველებისა და მართლწერისა. და რადგან შეიძლება ზოგჯერ ჩვენ თვითონა ვცდებოდეთ, ამიტომ სასურველია, როცა ვცდებით, ჩვენი შეცდომა სხვების მიერ აღნიშნოს. ამით ხელს შევუწყობთ სიმართლის აღდგენას და მოგებული კიდენ ჩვენი ენა დარჩება.

უწინარეს ყოვლისა მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ საგანს ამას წინათ „სახალხო გაზეთის“ (იხ. №№ 283, 293 და გაზეთი „კოლხიდა“ № 3) ფურცლებზე გამართულ პოლემიკისას, რომელიც ცხადჰყოფს ჩვენის ენის ძირითადს რყევასა და ამ ენაზედ მოლაპარაკეთა გადაგვარებასა! მე მოგახსენებთ ერთის მხრით, ჩვენის პატივცემულ ბელეტრისტ და რედაქტორის ქ-ბატონის ნინო ნაკაშიძის მეუღლის და მეორეს მხრით, პატივცემულისავე მოქართულე ბ-ნ სილოვან ხუნდაძის შორის ატეხილ დავის შესახებ. ქ-ნი ნ. ნაკაშიძისა „სახ. გაზეთის“ 283 და 293 ნომრებში სერიოზათ ამტკიცებდა, ქართველ ქალის გვარი ისევე უნდა იწერებოდეს, როგორც მამა-კაცისა, ამით დავუმტკიცებთ ქვეყანას ქართულ

...და ასე ყველაფერს მოკლებულ...ნდა ვიყვნეთ? პირიქით, საჭიროა ...ო ენერგიული მუშაობა, რათა ...ი ეროვნული შუღლი ერთხელ სამუდამოდ მოისპოს. კარგად ვხე...თ, რომ დღევანდელი ჩვენი ქალა...თავი თავს არ იცხელებს არც ...ითხველოსათვის და არც სხვა ამის...ებისათვის. იმის აზრით: ვისაც ...თების კითხვა უნდა კლუბის წევ...ჩაეწეროს, წელიწადში 10 მან. ...აიხადოს და იკითხოს გაზეთები. ...ნალის მაზრის ბევრ სოფლებში ...ებობს სამკითხველოები და თვით ...აზრო ქალაქი-კი მოკლებულია ამას. ...ე, თვით ენიკოლოფოვი შერცხვეს ...მის გამო, იგრძნოს, რომ მას ქალა...ქის გაძღოლა არ შეუძლიან.

როგორც ზოგიერთნი ამბობენ, სამკითხველოს ნებართვა კვლავ გვქო...ია სიღნაღელებს კერძო პირის სა...ელზე აღებული და არც კი სჩანს ვის ...ელშია ეხლა კარგს იქაებდა ეს ზემოხსენებული პირი, გადმოეცა ან ისევ ...ოეწყო სამკითხველო, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის.

...თითქოს შარშან ქ. შ. წ. გ, ს. განყოფილება დაარსდა აქ, მაგრამ თქვე...ი ცოდვა არა მაქვს, მგზავსი არ ყოფილა. ექიმს კ. ტურიაშვილმა მოეწყურვა განყოფილების დაარსება სიღნაღში, ამ მიზნით იშოვნა წევრნი, მოიწვია საერთო კრება, სადაც ერთხმად აღიარებულ იქნა, რომ სიღნაღში გაიხსნას ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადო განყოფილებაო. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კ. ტ—შვილი და თანაშემწედ ექ. ჯანდიეროვი. ერთხელ მოგროვდა ფული ტ.—შვილს ხელმძღვანელობით და ველოდით განყოფილებას, მაგრამ ტ—შვილი დატუსაღებულ იქნა და საქმეც გაჩერდა. მას აქეთ წელიწადზე მეტმა განვლო და დღესაც არ იციან რა მოხდა, მართლა იყო რამე განყოფილება თუ არა?! აქედგან ნათლადა სჩანს, თუ როგორი მოღვაწენი არიან აქაური გავლენიანი პირები. ახლაც რამდენიმე თვეა მესმის, კვლავ უნდათ გახსნან ზემოხსენებული განყოფილება, მაგრამ სურვილს ვერ გასცილებიან. იმედია კვლავ დავიწყებას მიეცემა ეს სურვილი და ჩვენ ქ. შ. წ. გ. საზოგ. განყოფილებას ვერ ვეღირსებით. ამას გვიჩვენებს აქაური ინტელიგენციის გადადგმული ნაბიჯები, ამას გვიჩვენებს შემდეგი მათი სიტყვები: ვერ იბოგინებს, ვიზარალებთ, ბოლო არ ექნება, ძალები არა გვყავნან, შენობა არა გვაქვს და ათასი სხვა. ბატონებო, თქვენ საქმე თქვით, თორემ ამების დაძლევა არ გაძნელდება. სიღნაღის მაზრა არ ჩამოუვარდება ინტელიგენტურ ძალებით სხვა თავის მგზავს მაზრებს. განსხვავება იმაშია, რომ სხვაგან ხალისიანი არიან და ჩვენებურებს კი ხალისი აკლიათ. მაშ კვლავ ველოდნეთ განყოფილებას?!

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ ორ კითხვაზე სიღნაღში შენობის უქონლობას. აქ არ მოიპოვება თუ გინდ ერთი ისეთი სახლი, სადაც შესაძლებელი იყოს წარმოდგენების ან სხვა რამ ამისთანების მოწყობა. აქ არის ერთი კლუბი, რომელიც 120 სულს იტევს. თუ გაიმართა სიღნაღში ან წარმოდგენა ან რამე სადამო უსა თუოდ აქ უნდა გაიმართოს. შენობის ქირა, სიპატარავე იძულებულსა ხდიან ინიციატორთ, რომ ფასები თითქმის ორათ გაადიდონ და ასე საშუალება მოუსპონ საწყალ ხალხს წარმოდგენებზე დასწრებისა. ერთი წელიწადი, რაც დაიბადა აზრი სიღნაღში ქართული სახალხო სცენის მოყვარეთა წრის დაარსებისა, მაგრამ ამასაც, როგორც სხვებს, განხორციელება ვერ ეღირსა. სიღნაღში რომ სახალხო სახლი აუცილებლად საჭიროა, ამას მტკიცება აღარ სჭირია, მაგრამ მაინც ამტკიცებენ, რომ ეს შეუძლებელია, ამისათვის თანხა არ მოგვეპოვებაო და სხვა. შეცდარი აზრია ის, ვითომც აქ ვერ შესდგეს ისეთი სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატიურად მოაწყობს სახალხო წარმოდგენებს, შეიძენს სახალხო სახლს და სხვა. პირიქით, ამას დიდი ნიადაგი აქვს ჩვენში. ამას გვიმტკიცებს სოფლებში მოწყობილი წარმოდგენები, ამას ამოწმებს ბოდბისხევის ახლად აშენებული სათეატრო სახლი და მომავალი მაჩხაანის, ანაგის და სხვათა სახალხო სახლები (ეხლა აპირებენ).

აუცილებლივ საჭიროა დაარსდეს სიღნაღში (მაზრით) „ქართული სახალხო სცენის მოყვარეთა წრე", რომელიც მოაწყობს იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენებს როგორც სიღნაღში, ისე მის მაზრაში. ამ წრის გამგეობამ უნდა მოაწყოს სექციები ისეთ დიდ სოფლებში, სადაც სასცენო სახლი და ძალები მოიპოვება, თავის ხელმძღვანელობით მოაწყონ სოფლადაც სახალხო წარმოდგენები. ამ აზრს ძალიან გაურბიან, თითქოს ეს განუხორციელებელი ოცნება იყოს, მაგრამ სცდებიან. ამ წრის დაარსება არ გაგვიძნელდება, რადგანაც აქ საკმაოდ მოიპოვება როგორც სცენის მოყვარენი, ისე თანამგრძნობნი და აი ამ წრეს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან ჩვენ ჩამორჩენილ კუთხისათვის. ზოგსა ჰგონია, რომ თუ სიღნაღში ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგ. განყოფილება გავხსენით, მას შეუძლიან გააკეთოს ყველა ის, რასაც ამ წრეს ვავალებთ! არა, ეს შეუძლებელია! ჩვენ ვიცით, რომ ამ განყოფილებაში ისეთი პირნი მოიყრიან თავს, რომელნიც 3 მანეთს გადაიხდიან და თავიანთ წევრობას ამით დაასრულებენ, ფართო მასსა კი ჩამოშორებული იქნება მისგან. სცენის მოყვარეთა წრე კი სულ სხვაა. მასში თავს იყრის ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, ვისაც კი ქართულის ენით სცენის სამსახური შეუძლიან. აქ ადვილად ვერ მოიპოვებს ნიადაგს ერთიდან მეორის დაჩაგვრა.

მაშ, ორ საზოგადოების მიზანს ერთმანეთში ნუ აურევთ, რადგან რაც შეუძლიან გააკეთოს ერთმა, ეს მეორისათვის ხელ-მიუწვდომელია.

დღეს ძალიან გახშირდა აქეთ წარმოდგენების მართვა, მაგრამ ყველას თითქმის ვაჭრული ხასიათი აქვს, ყოველთვის საქველ-მოქმედო მიზნით იმართება და სულ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტი გამორჩენა ჰქონდეთ. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაარსდეს სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხის გათვითცნობიერებას.

მაშ ასე, სამი უმთავრესი რამე გვაკლია, რომელიც აუცილებლივ საჭიროა ჩვენთვის: 1) სამკითხველო სიღნაღში, 2) „ქართული სახალხო სცენის მოყვარეთა წრე" და 3) ქ. შ. წ. განყოფილება. ყველა ამეების დაარსებას დღესვე უნდა შევეცადნეთ, და ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა პირმა ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზანს. ეს სიმპატიური საქმე უნდა იკისრონ აქაურმა გავლენიანმა პირებმა, რომელნიც თავს საზოგადო მოღვაწედ სთვლიან და საქმით კი არაფერს გვიჩვენებენ. დაე თითონ გაიგონ ეს სიტყვები ვისაც ეხება.

**Bogano.**

## ლ. ა. კასსო და ვ. ნ. კოკოვცევი

„რუსკოე სლოვო" ეხება საშუალო სასწავლებელთა საჭიროების საკითხს და მის ბედს ამ ორ სამინისტროთა ხელში. კასსოს საჭიროდ უცვნია სასწავლებელთა რიცხვს კი დევ გიემატოს 163 ახალი სკოლა. მაგრამ ჩვეულებრივად ამ საჭიროების ასრულებაც, თურმე ისევ უნდა რიგ-რიგობით მოხდეს. პირველ რიგში მინისტრს გადაუწყვეტია გაიხსნას 76 ახალი სასწავლებელი, მაგრამ „გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ" შესაძლებელი გამხდარა ამ რიცხვიდან მომავალ წლისთვის გაიხსნას მხოლოდ 15. ამის გარდა ამ წელს გაიხსნება 16 სასწავლებელი, რომელნიც უწინ იყო გასახსნელი. ამ სისტემით ის 163 სკოლა, რომელთა გახსნაც კასსოს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, შეიძლება გაიხსნას 11 წლის განმავლობაში. ამ დროს განმავლობაში გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვი 20—25% გამრავლდება.

ასე რომ სანამ ძველ ვალებს გაისტუმრებენ, ახლები დაგროვდებიან და „უადგილობა", ეს ძველი სენი, ისევ იჩენს თავს ჩვენს საშუალო სასწავლებლებში. ამ მდგომარეობის აცდენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ახლავე უნდა გაიხსნას 163 სასწავლებელი.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ 15 სკოლის გახსნა 76 ნაცვლად ისევ იმ „ფინანსიურ მოსაზრებას" გადაუწყვეტია. უნდა ვაღიაროთო,—ამბობს გაზეთი,—რომ შვარცი არ ემორჩილებოდა ამ „ფინანსიურ მოსაზრებათ" და ვ. ნ. კოკოვცევს საფუძველი ჰქონდა იგი აღეარებია ისეთ ადამიანად, რომელთან „მორიგება და შეთანხმება შეუძლებელია". კასსო თუ უსიტყვოდ დაემორჩილება ქვეყნის წინაშე თავის მოვალეობის ასრულებაში კოკოვცევს, იგი თავის თავს უღალატებს და თავის პიროვნების წინააღმდეგ წავა.

კასსოს, როგორც ახალგაზდა პროფესორს, შეეძლო ახალი ელფერი შეეტანა „შეთანხმებულ კაბინეთის" შეთანხმებულ მუშაობაში. ეს შეთანხმება უნდა გამოიხატებოდეს არა უსიტყვოდ დამორჩილებაში, არამედ კოკოვცევის პოლიტიკის საზარალო შედეგების გამორკვევაში, რომ იგი მხოლოდ ასეთ საჭიროებათა შემდეგისათვის გადადებით იღებს „თავისუფალ თანხას". კასსომ იცის, რომ ასეთი „ძველი ვალები" თანდათან იზრდება და მისი გადახდა შემდეგში უფრო ძნელი გახდება და ამიტომ კასსო იმით არ უნდა იმართლებდეს თავს მისგან აღიარებულ საჭიროებათა განხორციელებაში, რომ განათლების უკედ მოწყობ-რიგების გზაზე გადუვალი დაბრკოლებები ხვდება ფინანსთა მინისტრის მხრით. ფინანსთა მინისტრი უნდა ჰკუიანად ხარჯავდეს ხაზინის ფულებს, და როდესაც იგი ამას არ ასრულებს და სასწავლებელთა გახსნას თერთმეტი წლობით აგვიანებს, მაშინ განათლების მინისტრს არ შეუძლია სთქვას: სინიდისი წმინდა მაქვს; მე რაც შემეძლო გავაკეთეო. თუ იგი ამნაირად დაემორჩილება გავლენიან მინისტრს, იგი არა თუ ვერას გააკეთებს, პირიქით იმას ჩაიდენს, რაც არ უნდა ჩაიდინოს. სამწუხაროდ კასსო, როგორც სჩანს, დაემორჩილა ამ მოსაზრებას: საშუალო განათლებისათვის განსაზღვრულ თანხის მეოხებით, საშუალო სასწავლებელთა გახსნისათვის შუამდგომლობათა დაკმაყოფილებისათვის უნდა მხედველობაში მივიღოთ ადგილობრივ მკვიდრთა დახმარების სიდიდე.

უმაღლეს სასწავლებელთა გახსნა, ხომ დამოკიდებულია ადგილობრივ შემოწირულებაზე, ახლა თუ საშუალო სკოლებიც ამას დაუქვემდებარეთ, რაღა დაჩება ადგილობრივ საჭიროებათა მოსავლელად?

ხაზინაში აგროვებენ ყველაფერს, რის მოგროვებაც შეიძლება და ადგილობრივ ცარიელ კასების ამარა აგდებენ სახალხო განათლების საჭიროებას. ასეთი მოქმედება ნამდვილი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი.

## სამხედრო გემთა რაოდენობა ევროპაში

ამ ხანებში გამოვიდა საზღვაო ყოველწლიური ჟურნალი „Nauticus"-ი. ამ ჟურნალში მოყვანილია სახელმწიფოთა საზღვაო ძალების შესახებ საინტერესო ცნობები.

აი ციფირებიც:

| | ყოველ-წლ. საზღვაო ხარჯი. | ხაზ. ხარჯ. თითო სულზე. |
|---|---|---|
| ინგლისი . . . . | 906 მილ. მ. | 20,04 მან. |
| შეერთებული შტ | 635 „ „ | 5,71 „ |
| გერმანია . . . . | 450 „ „ | 6,85 „ |
| საფრანგეთი . . . | 333 „ „ | 8,42 „ |
| რუსეთი . . . . | 238 „ „ | 1,55 „ |
| იაპონია . . . . | 180 „ „ | 3,50 „ |
| იტალია . . . . | 156 „ „ | 4,48 „ |
| ავსტრო-ჰუნგრ. | 105 „ „ | 2,01 „ |

| | რამდენი ზღვაოსანი ჰყავს. | ჯავშნოსანი გემები. |
|---|---|---|
| ინგლისი . . . . | 134535 | 50 (12)*) |
| გერმანია . . . . | 60783 | 25 (12) |
| შეერთებ. შტ. . . | 60510 | 30 (7) |
| საფრანგეთი . . | 60000 | 22 (4) |
| იაპონია . . . . | 48000 | 13 (3) |
| რუსეთი . . . . | 46000 | 10 (12) |
| იტალია . . . . | 31000 | 8 (4) |
| ავსტრო-ჰუნგრ. | 16417 | 11 (5) |

| | ჯავშნოსანი კრეისერები | ნაღმოსნები. |
|---|---|---|
| ინგლისი . . . . | 38 (6) | 259 (51) |
| საფრანგეთი . . | 22 „ | 262 (13) |
| შეერთ. შტ. . . . | 14 „ | 62 (14) |
| იაპონია . . . . | 13 (4) | 108 (2) |
| გერმანია. . . . | 10 (4) | 187 (14) |
| იტალია . . . . | 10 „ | 94 (42) |
| რუსეთი . . . . | 6 „ | 132 (15) |
| ავსტ.-ჰუნგ. . . . | 3 „ | 84 (6) |

როგორც ამ ციფირებიდანა სჩანს პირველი ადგილი ზღვაოსნობაში ინგლისს უჭირავს, მას მოსდევს გერმანია. გერმანია, საზოგადოდ, ამ ბოლო დროს კრიჭაში ჩაუდგა ინგლისს და სცდილობს გადააჭარბოს. იმის გარდა, რაც აქ არის ნაჩვენები, გერმანია კიდევ რამდენიმე გემს აშენებს ... მებთან შედარებით ინგლისის უახლესი გემები ძველ სისტემას წარმოადგენენ.

*) ფრჩხილებში ჩასმული ციფირები იმ გემების რიცხვებია, რომლებიც ეხლა შენდება.

## მოწერილი ამბები

**ახალციხე** ჩვენში, გზა-ტკეცილებზე მგზავრების თავს დაცემა და გაძარცვა მეტად ფეხს იკიდებს. ამ ცოტა ხანში სამი შემთხვევა მოხდა.

22 თიბათვეს აწყვერსა და ახალციხის შუა, ნაშუადღევს ეტლით მიმავალ მგზავრებს თავს დაესხმია სამი შეიარაღებული კაცი და დაუძარცვავთ. სხვათა შორის ნიკოლოზ გაბრიელის ძე ასათიანისათვის წაურთმევიათ 500 მან. ფულად და ასი მანეთის ღირებული ნივთები. გაძარცულები მაშინვე ახალციხეში, მიუმართნიათ სამაზრო სამართველოში ბოროტების მისადევნად, მაგრამ იქ მოქმედ დარაჯ ჩეჩენს განუცხადებიათ: მორიგე მოხელეს ნახვა ეხლა არ შეიძლება, ხვალ მოდითო. მეორე დღეს გადა...მიაგნებდა მძარცველთა გზას.

**შხამიანი ისარი.**

## უცხოეთი

**ჩინეთი.**

— შანხაის გაზეთები ჰბეჭდავენ ერთ ამბავს, რომელსაც „რუსეთის დათვის საქციელს" უწოდებენ. რუსეთის გემი „პოლტავა" შანხაის მისულა და მის ძირში მოგროვილ ქვიშისა და ლოკოკინების გადაყრა მოუნდომებია. ამ აზრით გემი დოკში შესულა. რაღაც მიზეზით, გემს ერთბაშად უკან დაუწევია და რამდენიმე წვრილი გემები და ნავები დაუმტვრევია. საგანგებო კომისიის გამოანგარიშებით ზარალი 5.000 მან. გემი „პოლტავა" ნავთ-საყუდარში სდგას და დატუსაღებულია. იმ შემთხვევაში გაანთავისუფლებენ, თუ ზარალს აანაზღაურებს.

— ამერიკელების ერთმა ჯგუფმა ჩინეთის მთავრობასა სთხოვა, საიმპერატორო არხს გავასუფთავებთ, გავაგანიერებთ და გემების მიმოსვლისათვის სავარგისოდ ვაქცევთო. ეს ჯგუფი უკვე წავიდა საიმპერატორო არხზე იქის გამოსარკვევად, თუ რა დაჯდება მთელი ეს მუშაობა. თუ ამერიკელების აზრმა გაიმარჯვა, გერმანიის ნავთ-სადგური ცზინდაო ყოველსავე მნიშვნელობას დაჰკარგავს. იგი სავაჭრო ცენტრალური ადგილი აღარ იქნება და გერმანიას დიდ ზარალს მიაყენებს.

— ჩინეთს რუსეთისა და იაპონიისათვის განუცხადებია, ის 40 მილიონი ტაელი, რომელიც მანჯურიისათვის ვისესხეთ ამ რიგად განაწილდებაო: 20 მილიონი ფულის სისტემის რეფორმას მოხმარდება, 12 მილიონი მდ. სუნგარზე ნაოსნობის გასავითარებლად, 4 მილიონი ტყის ექსპლო-

---

...ქალის დამოუკიდებლობას, მისს მისწრაფებას მამა-კაცთა მონობისაგან განთავისუფლებისადმიო. ამიტომაო, — დაასკვნიდა ქ-ნი ნაკაშიძისა,—უნდა ვწეროთ: ნინო ნაკაშიძე, თინათინ ცხოვრებაძეო და სხვ!.. ამ აზრს დამცველებიც კი აღმოუჩნდნენ და თან გაზეთებმაც ერთის კალმის მოსმით უკუაგდეს ათასის წლობით შემოღებული მართლწერა და მით... გაათანასწორეს ორივე სქესი... ქაღალდზე მაინც. ასე რომ ამ უკანასკნელ ხანს გაზეთებში ადამიანის გვარს რომ ჰკითხულობთ, უმეტეს შემთხვევაში არ იცი, მდედრობითის სქესისაა თქვენის აზროვნების საგანი, თუ მამრობითისა? ე. ი. ამ სქესთა უფლების გათანასწორების ძიებაში ჩვენი ქალები არამც თუ გაუთანასწორდნენ ამ ნიადაგზე თავდადებულ მებრძოლთა, ინგლისელ სუფრაჟეტთა, გაუსწრეს კიდეცა!.. ნეტავი ჩვენა!..

ქართველებს რაც თავი შეგვისწავლია, გათხოვილ თუ გასათხოვარ ქალის დასახელება რო გვინდოდა, ასე ვამბობდით ხოლმე: „ნაკაშიძის ასული ნინო (გასათხოვარის შესახებ) ან როსტევან ნაკაშიძის მეუღლე ნინო". ამით ყოველთვის აღვნიშნავდით ხოლმე, რომ ქალი, სანამ გასათხოვარი იყო, მამის გვარს ატარებდა, გათხოვების შემდეგ კი— ქმრისასა. თანაც, გვარის ამ სახით ტარების წყალობით მამრობითი სქესი მდედრობითისაგან ირჩეოდა. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის ასე როდი ყოფილა. იყო დრო, როცა შვილი დედის გვარს ატარებდა, დედის გვარით იცნობებოდა. ეს გახლდათ მაშინ, როცა ოჯახებრივი წესწყობილება დედათმთავრული ანუ მატრიარხატული იყო და შვილის მშობლად უმთავრესათ დედა იყო ცნობილი, ხოლო მამის მშობლობა საეჭვოთ მიაჩნდათ.. ამ წესწყობილების ნაშთს ჩვენის ქვეყნის განაპირებში (თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სამეგრელო) დღესაცა ვხედავთ. მაგალითად, სამეგრელოში ქალი გათხოვების შემდეგაც ატარებს დედ-მამის გვარს: თუ კაცის გვარი ნაკაშიძეა, ქალისა იქმნება—ნაკაშიხე, რაიცა ნიშნავს ისეთს ნაკაშ—ს, რომელსაც „ხუალია" (შობა) შეუძლია, ე. ი. ქალს. ბავშვებზე კიდევ ამბობენ: ნაკაშიხეს შვილები არიანო; მამის გვარს კი უფრო ერთ შემთხვევაში არც-კი ახსენებენ. უამბოლოსართოთ, უ-ხე-ოთ ქალის გვარს მეგრულათ თავის დღეში არ იტყვიან, რათა გამგონისათვის ძნელი არა იყოს გარჩევა ამა თუ იმ გვარის მატარებელის სქესისა.

რუსულ სკოლებისა და ენის ზედგავლენით ჩვენმა გვარებმაც განიცადეს რუსულ ენის სუსხი. მოგეხსენებათ, რომ რუსულათ ქალის გვარს გრამატიკულის მდედრობითის სქესის დაბოლოვება აქვს, როგორც ყველა უსულო საგანს მდედრობითის სქესისას. ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსული გვარი უფროს ერთ შემთხვევაში იბრუნვის, ხოლო არა რუსულ გვარების ბრუნება იმავე რუსულ ენაზე შეუძლებელია, ამ ენის გრამატიკის კანონის ძალით. და რადგან ქართული გვარიც იგივე არა რუსული გვარია და უცხოურია რუსისათვის, გრამატიკულის სქესით ვერ დაუყვიათ, ამიტომ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში და განსაკუთრებით კი სკოლებში ქალსაც მამაკაცურის გვარით იხსენიებენ. ამ უხიაგობას ცოტ-ცოტათი შევაჩვიეთ ქართული ყური, სკოლიდან ცხოვრებაში შემოვაპარეთ, და ცხოვრებიდან კიდევ მწერლობაშიაც ამოჰყო თავი! ამ უკანასკნელში ლამის საბოლოოდ მოიკალათოს ამ დაუპატიჟებელმა და არა სასურველმა სტუმარმა და უჯერო შვილმა, თუ დროით არ განვდევნეთ.

ჩვენ ისა ვსთქვით, რომ წინად ვამბობდით და ახლაც ვამბობთ: ნაკაშიძის მეუღლე თუ ასულიო. ეს გრძელი ფორმა ქალის გვარისა თანდათან შემოკლდა და მამაკაცის გვარის ფორმას გაუკეთდა დაბოლოება ისა (ნაკაშიძე-ნაკაშიძისა), როკა გვარს ვამისებთ გათხოვილ ქალს, ხოლო გასათხოვარის შესახებ ჯერ კიდევ ვამბობთ ნაკაშიძის **ასული**, გინა **ქალიო**. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართული ენა უკვე რყევაშია ამ მხრივ და, საცა, სიტყვებს **ქალს** და **ასულ**-საც ამოიჭამს და გასათხოვარის გვარსაც ისეთივე მოკვეცილი დაბოლოვება **ისა** მიეცემა, როგორიც გათხოვილისას მიეცა უკვე.

ქალის გვარის წერის (აგრეთვე ლაპარაკში) საქმეში ამ წესის უგულებელყოფას ისეთი შეცდომები და აზრთა ორჭოფობა მოსდევს შედეგად, როგორის მოწამეც ყოველ დღე ვართ ამ უკანასკნელ ხანში. აქაო და სხვა ენებზე ქალის გვარსაც მამაკაცის გვარის დაბოლოება აქვსო, ჩვენშიაც გადმონერგეს ეს წესი, და ის კი არ იკითხეს, თუ რამდენად იგუებდა ჩვენი ნიადაგი ამ უცხო ნერგს. დაავიწყდათ, რომ იგივე უცხოელნი (ევროპიელნი) ქალის გვარს როგორც წერასა, ისე ლაპარაკში წინიდან უმატებენ შესაფერს სიტყვებს: ქალბატონი—გათხოვილთათვის, ქალწული—გასათხოვართათვის. დაივიწყეს ისიცა, რომ დასართავ და ნაცვალ-სახელებს, როცა ქალს აღნიშნავს, მდედრობითის სქესის (გრამატიკულის) დაბოლოება აქვს, ხოლო რუსულათ არა მარტო დასართავ და ნაცვალსახელს, თვით ზმნისაც კი აქვს ზოგიერთ დროში ეს გრამატიკული სქესი. ასე რომ ამ ენებზე მარტო გვარიც რომ იხმაროთ ქალისა, უსახელოდ, მიხვდებით, რომ ქალის მდედრობითის სქესის შესახებ არის ლაპარაკი. ჩვენში კი ეს გრამატიკული სქესი არ მოგვეპოება. მაგრამ ყოველივე ეს მოსაზრება მეტ ბარგად მიიჩნიეს ქალთა ემანსიპაციით გატაცებულებმა და ქალის გვარს მამაკაცის გვარის მსგავსად დაუწყეს წერა. ლაპარაკის დროს გვართან ერთად სახელიც თუ იხმარე ქალისა, მიხვდები, ვის შესახებაცაა ლაპარაკი. ან წერის დროს თუ სახელი ქალისა სრულად დასწერე, მაშინაც არ გვგიჭირდება გამოცნობა მისის მატარებელის სქესისა. მაგრამ როცა მარტო გვარს იტყვით ან დასწერთ ქალისას, უსახელოდ, ან და გვარს დასწერთ და სახელისას მხოლოდ სათაურ ასოს იხმართ მაშინ როგორ უნდა გახვიდეთ ფონს? ტაბიკაც სწორედ აქა ტყდება! ამ უკანასკნელ დროში ასეთის კურიოზების მოწამენი გახლავართ: „სახალხო გაზეთის" მე-277 №-ში დაბეჭდილია რედაქციის მიმართ წერილი და ქვეშ აწერია: „ნ. ნაკაშიძე". მე და ჩემთან ერთად რამდენიმე სხვამ, შეიძლება, ვიცოდით, რომ ინიციალ „ნ"-ის ქვეშ იფარება სრული სახელი ნინოსი, ჩვენის ნიჭიერ ბელეტრისტის და ნაკაშიძის მეუღლისა. სხვას კი ეგონება (და საფუძვლიანადაც!), რომ ხსენებულ წერილის ავტორი მამაკაციაო. ხსენებულ გაზეთის იმავე ნომერში პირველ გვერდზე სათეატრო განცხადებასა ვკითხულობთ ბ-ნ გრიშაშვილის მიერ განზრახულ წარმოდგენისას („ლალატი"). წარმოდგენის მონაწილენი ასე არიან ჩამონუსხულნი: „ბ. რიონელი, ნ. კონსიოტი, ოლ. ლეჟავა, ბ. კორინთელი, ი. მაჭავარიანი, გრ. ყიფშიძე და სხ. და მოდით და გამოიცანით, ამათში რომელია ქალი და რომელი—კაცი?! ვინც არ იცის, რომ პიესაში საქალო როლებიც არის, ეგონება: მოთამაშენი, ალბათ, მხოლოდ მამაკაცნი არიან და როლებიც სამამაკაცონიო, და ან და ქალებისა და ვაჟების როლებს მხოლოდ ქუდოსანნი ასრულებენ, როგორც კაზარმებში ჯარისკაცნი სჩადიანო.... მე და ჩემმა ღმერთმა! ამავე გაზეთის მე-295 ნომერში დაბეჭდილია ანგარიში ტფილისში გამართულ სალიტერატურო-სამუსიკო დილისა. ჩამოთვლილია მწერლები, ვინ მოთხრობები წაიკითხეს, და მათი გვარებიც ასეა ჩამოწერილი: „ლ. ელეფთერიძე, ცქვიტი და ნ. ნაკაშიძე. აქაც გაიგეთ, მარტო მამა-კაცნი კითხულობდნენ მოთხრობებსა, თუ მამა-კაცებს ქალებიც უმშვენებდნენ მხარსა?! ჩვენა გვგონია, რომ ამ კრებულში ორი ქალიც ერია და ერთი მათგანი თვით ქ-ნი ნინო ნაკაშიძისა გახლდათ, დამაკანონებელი ამ გაუგებრობის გამომწვევ წერისა და ლაპარაკისა!

ყველგან საქრისტიანოში ნაბეჭდში ცხადათ სჩანდა ხოლმე მნიშვნელობა და პირდაპირი აზრი ყოველსავე სიტყვისა, მათის გამოსაცნობათ ოფლის წურვა არა გვჭირდებათ. ჩვენებურათ წერა-კი წარმოშობს აზრის ორჭოფობას, ხოლო ორჭოფობა კი თვისება გახლავთ პირველყოფილ ხალხთა ენისა. ქართულის ენის პატრონთ არ შეგვფერის, ისიც ვითომ და ქალთა ემანსიპაციის სახელით, პირველ ყოფილ დროისაკენ ვაბრუნებინოთ პირი ჩვენს ენასა და აზროვნებას. ძალა რამ რომ გვადგეს, კიდევ ჰო!.

მოდით და ბ-ნ სილოვან ხუნდაძის გულისწყრომასა და აღშფოთებას სამართლიანად ნუ ჩასთვლით, როცა ასეთი უხიაგობა უნდა შემოიპაროს ქართულს ენაში დღისით-მზისით, დაუპატიჟებლათ!... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბ-ნ სილ. ხუნდაძესთან ერთათ აღშფოთდებოდა ყველა, ვისაც-კი საშობლო ენის წინსვლა და სიმშვენიერე ნატვრისა და დაუცხრომელის ზრუნვის საგნად გახდომია.

ჩვენი თავი მოვალედ ჩავთვალეთ ორიოდე სიტყვა ამ პოლემიკის შესახებაც გვეთქვა. ამის შემდეგ კი შევუდგებით თანამედროვე პრესაში ხმარებულ უკანონობათა განხილვას. ეს უკანონობანი ჯგუფებად დავყავით იმის და მიხედვით, თუ ესა თუ ის ჯგუფი მეტყველების რომელს ნაწილს შეეხება. ყველაზე მეტი ცოდო მივვიძღვის ზმნის წინაშე. და ჩვენც ჩვენს საუბარს ქართულ მეტყველების ამ უმთავრეს ნაწილთგან დავიწყებთ.

**ი. ხახიაკა.**

(შემდეგი იქნება)

ატაციისათვის და 4 მილიონი საქონლის მოსაშენებლადაო.

— ჩინეთის ვაჭრობის მინისტრს განზრახული აქვს, ჩაით ვაჭრობა მთავრობას გადაეცეს. ამას იმით ასაბუთებს, რომ ეს ვაჭრობა უცხოელებმა ჩაიგდეს ხელშიო, მეტადრე რუსებმაო და ჩაის ფასს ხელოვნურად აკლებენო. მინისტრს აზრადა აქვს ხონკაუში ფაბრიკები გაიხსნას და უცხოელებს შეღავათიანი პირობები წაერთვათ. მთავრობამ ლონდონსა, ნიუ-იორკსა და პეტერბურგს უკვე გაჰგზავნა თავისი კაცები, რომელთაც ჩაის ბაზარი უნდა გაიცნონ.

**სპარსეთი.**

— თეირანში ხმა გავრცელდა, შაჰად ნამყოფი მაჰმად-ალი სპარსეთში შემოპარვასა სცდილობსო.

— საპეხდარი ისევ ყაზვინშია.

— ტახტის მაძიებელი სალარ-უდ-დოულეს მომხრენი ქურთისტანში დიდ პროპაგანდას ეწევიან. პროპაგანდას თვით სალარ უდ-დოულე ხელმძღვანელობს წერილებით.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** რესპუბლიკანელ სოციალისტთა პირველი კონგრესი დაიწყო; მან პარტიის პროგრამა უნდა შეიმუშაოს. შეერთებულ სოციალისტთა ნაციონალურმა კრებამ დაადგინა, მუშათა საკითხში შრომის კონფედერაციის პროგრამას გამოესარჩლოს და პენსიის საქმეში მუშებს მხარი დაუჭიროს.

**პეკინი.** ბოგდიხანის ბრძანებით იმპერატორის სწავლება ჩინურ წელთაღრიცხვის მეშვიდე თვეს დაიწყება. ასწავლიან კონფუციის ფილოსოფიას და მანჯურიის ენას.

**თეირანი.** მოვიდა საპეხდარი, რეგენტს ორ საათს ესაუბრა და შემდეგ საკუთარ აგარაკში დაბინავდა.

**თახაკა.** (მექსიკა), ოკოტანაში პოლიტიკური არეულობა მოხდა. შეტაკების დროს 11 კაცი მოკვდა, 15 დაიჭრა. ბრბო სახლებს შეერია. ჯარმა წესიერება აღადგინა.

**რ უ ს ე თ ი.**

**მოსკოვი.** ერობამ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველ-თვიური „მოსკოვის ერობის ამბები“.

მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების ყალბ კუპონების მკეთებელ და გამვრცელებელ ჯგუფიდან ოთხი კაცი შეიპყრეს.

**ვოლოგდა.** კანდიკოვის ოლქში შავი ჭირი ვრცელდება.

**პეტერბურგი.** 26 თიბათვეს გარდაიცვალა პუბლიცისტი შარაპოვი.

**პეტერბურგი.** ზღვაში ჩაუშვეს გემი „პოლტავა“.

**ლვოვი.** 25 ივნისს საღამოთი პოლონელ მემარჯვენეებმა დემონსტრაცია მოახდინეს გალიციის ნამესტნიკს ბობრინსკის წინააღმდეგ; მას არჩევნებში მიკერძოებას აბრალებენ. დემონსტრაციისთვის ისარგებლეს თავიანთ ლიდერის, ნამინისტრალ გლომბინსკის ჩამოსვლით. ქალაქის კლუბში კრება მოხდა, სადაც ბობრინსკის საწინააღმდეგო რეზოლიუციები მიიღეს; რეზოლიუციები პროფესორმა გრაბსკიმ შეადგინა.

**ბაქო.** ხოლერით გახდა ავად ერთი კაცი.

# ღია წერილი

ექვს გარეშეა, რომ ჩვენი ენა ჯერ მეცნიერულად სავსებით არ არის გამორკვეულ-შემუშავებული; ერთი და იგივე აზრი და მცნება სხვა და სხვა ფორმით გამოიხატება; მასზე გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის თვითეულ კუთხეს და ამის გამო ის ხშირად გვეჩოთირება. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი დედა-ენა იმდენად იყოს მოკლებული მეცნიერულად შემუშავებულ კანონებს, რომ მათის საშუალებით ისეთ უბრალო საკითხის სისწორით გარკვევა გაძნელდეს, რომელზედაც მე მსურს მოგახსენოთ: მე და ერთ ჩემ ამხანაგს შორის ასტყდა დავა ერთ საზოგადოებაში იმის თაობაზე, თუ რამდენად მართალი იყო მისგან წარმოთქმული ფრაზა: „მე წყალს ვუმატებ სმას“. ეს ფრაზა როგორც გრამატიკულად, ისე ლოღიკურადაც სწორ ფორმად არ ჩავთვალე და მოვახსენე: ეს აზრი მხოლოდ ასე გამოითქმის: „მე წყლის სმას ვუმატებ“, რადგანაც თუ ვსთქვით: „წყალს ვუმატებ სმას“, გამოდის, რომ **წყალს** ვუმატებთ **სმას** (წყალს+სმა), რაც სინამდვილეს აშკარად ეწინააღმდეგება, ვინაიდან, როდესაც წყალს ვსვამთ, მას არა თუ არაფერი ემატება, პირიქით—აკლდება. გრამატიკულად შეცდომად მივიჩნიე ეს ფრაზა, რადგან, თუ კითხვებით გავარჩევთ წინადადებას, სიტყვას „წყალს“ უთუოდ დაესმის კითხვა: რის! რის სმას? და არა: რას ვუმატებთ სმას? ვინაიდან მეორე შემთხვევაში არა ლოღიკურ პასუხს მივიღებთ.

ამ საკითხის სისწორით გამორკვევით დაინტერესებულმა, მე მივმართე ჩვენი ენის მცოდნეებს და ქართული გაზეთების რედაქციებს და თვითეულ მათგანისგან სულ სხვა და სხვა პასუხი მივიღე. ზოგი ამ ფრაზის მომხრე იყო: „მე წყლის სმას ვუმატებ“, სხვები—„ვუმატებ სმას წყლისას-წყალისას“ და კიდევ—„წყალს ვუმატებ სმას“.

თუმცა სინამდვილის მეტი ნიმუშები ჩემს მხარეზეა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, გადავსწყვიტე ეს საკითხი პრესის საშუალებით უფრო საფუძვლიანად გამერკვია, მით უმეტეს, რომ ინტერესს არ არის მოკლებული.

ვთხოვ, ვისაც ეს საქმე დაინტერესებს და სასარგებლოდ დაინახავს მის გარკვევას, თავისი აზრი გამოსთქვას ხსენებულ საკითხზე.

მასწავლებელი **ტრიფონ შუბლაძე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ პატარა წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„სახალხო გაზეთი“-ს № 335-ში მოთავსებული იყო ბ. Pique-ს წერილი: „ქუთაისის კითარება“, სადაც ამბობს, თითქო მე უნდა შემედგინოს ეგრედ წოდებული „კოკინისტების“ პარტია, რომელსაც აზრად აქვს დაანგრიოს, აწეწ-დაწეწოს და ჩაფუშოს ყველა მაისის უკანასკნელ რიცხვებში მომხდარ კრების გადაწყვეტილება. მე კი ვაცხადებ და თამამად მოგახსენებთ, ბ. Pique-ო, რომ ეს ცხადი სიცრუეა და ცილის წამება, და თუ ვინმემ ხმა ამოიღო და თანამიგრძნო, ეს მას კი არ ნიშნავს, რომ მე პარტიას ვადგენ „ქვეყნის დასაქცევად“. ყველას თავისი აზრი აქვს და უფლებაც, რომ გამოთქვას თავისი შეხედულება, როგორც მაგალითად თქვენ, ბ. Pique-ო! თუ კი გგონიათ თქვენ უფლება საყვედურისა თქვენივე ფანტაზიით შექმნილ კოკინისტების პარტიისათვის: „რა ამბავი მოხდა, ქვეყანა დაიქცა, ჩამოწვა ცა, თ-დი დგებუაძე ხელმეორედ აღარ აირჩიეს დამფასებლად და შეიქნა განგაში“-ო, არ მოგეწონათ და ამბობთ პროტესტი როგორ გამოაცხადეთო, თქვენ, ბატონო, უფლება გაქვთ არა თუ თქვენს ნაცნობებში სიტყვიერად, საქვეყნოდ გაზეთის საშუალებითაც გამოსთქვათ თქვენი აზრი და შეხედულობა და გიკვირსთ, როგორ თუ სხვებმა რისიმე თქმა გაბედეს თ-დი დგებუაძეზედ. ეს სამართლიანობა არ უნდა იყოს! გარწმუნებთ, ბ. Pique, რომ მე თავის დღეში სხვისი კუდი არ ვყოფილვარ და არც ვიქნები. თქვენ კი ისე არ მოგივიდეთ, როგორც ნათქვამია: „ვისაც რა სტკივა იმაზე ლაპარაკობსო“. ჩემთვის ვიცავი და ეხლაც ჩემთვისა ვარ; უსამართლობა ყოფილა, არის და კვლავადაც ბევრი იქნება და მე რად უნდა გამიკვირდეს, რომ მეც უსამართლობა შემხვდეს. თუ ვინმემ ხმა ამოიღო ჩემზე და პროტესტი გამოაცხადა—ისინი „კოკინისტები“ კი არ გახდნენ, არამედ სიმართლის მიმდევარნი.

**კოკინია დგებუაძე.**

მ. ხ. ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთა შორის შევკრიბე შემოწირულებანი ამაღლების (ოზურგეთის მაზრა, ქუთ. გუბერ.) საქალებო ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლის სასარგებლოდ.

**სია შემომწირველთა:** კ. კუკულაძე 50 კ., ი. ავრამიდი 30 კ., ა. პეტროსიანი 20 კ., ს. დავიან 30 კ., ძმ. ივანი ნები 30 კ., გ. პარადისოპულო 1 მ., ლ. პარაჰა 20 კ., ვაცლანა 50 კ., გ. ევკალიდი 20 კ., ა. სპანიკი 30 კ., ა. კუცური 3 მ., გ. პუტკინი 1 მ., ი. ხოგოიანი 50 კ., გ. კონტანტინიდი 50 კ., კ. ივანიანი 50 კ., ვ. ბირკაია 50 კ., ზ. ანდრონიკოვი 30 კ., ნ. მაზკოს 10 კ., ი. ნინიძე 20 კ., კ. აპეტიან 20 კ., პ. აშრაფიანი 50 კ., ბიანი 20 კ., შეტლერ 20 კ., ბ. მამედ 70 კ., ს. სარაკენიდი 50 კ., დ. პაპასტილიანი 50 კ., ვ. პიტ. 50 კ., ჯალილ ოღლი 50 კ., ნ. საიპოვი 1 მ., კაზანჯიდი 20 კ., გ. დანიელოვი 20 კ., ტერბიან 20 კ., მ. ჯაველიძე 20 კ., ი. ტაკიშოილი 50 კ., მ. მებურნეთოვი 50 კ., ს. აკინიან 30 კ., ბ. პოპიაშვილი 20 კ., მ. სვანიძე 50 კ., მ. გალუსტოვი 1 მ., მ. იბრაგიმ 30 კ., ს. კოლოიანი 50 კ., ს. ვართანოვი 20 კ., ზოლოტილოვი 20 კ., პ. ზუმოვი 20 კ., ნ. ჩხენკელი 50 კ., ზ. მაპავარიანი 50 კ., ლ. კალატოზოვი 40 კ., ი. კოვალოვი 20 კ., ი. თოდრია 50 კ., პაპოვი 25 კ., ი. ბრელიძე 50 კ., მ. ლეიბმანი 50 კ., ნ. ბერიძე 50 კ., ი. დავიდოვი 25 კ., ა. ანტონოსიანი 25 კ., ი. ფილაიაკოვი 1 მ., მ. მელუა 20 კ., პ. ეფრემიდი 1 მ., მ. ეკიზოვი 50 კ., პ. ნაზაროვი 50 კ., ე. ქამკოჩიანი 20 კ., ვ. ბუჭუკური 50 კ., ო. ეფენდი 50 კ., ე. ანთელაძე 40 კ., სოფი-ოღლი 60 კ., სოკოიანი 50 კ., თათრული გვარია 30 კ., კიმ. ბაკურიძე 40 კ., ზოლოტნიცკი 20 კ., გ. ლეშ. 50 კ., ზეინალოვ 24 კ., ხემიანოვსკაია 30 კ., კონსტანტინი 20 კ., გ. თუთაშვილი 50 კ., კ. ბაგდასარიან 50 კ., არტ. 30 კ., დ. ჯიშკარიანი 50 კ., ლ. გუდგენშეგოვი 50 კ., ს. სიამაშვილი 60 კ., ს. ლიხტერმან 1 მ., ი. ინწკირველი 50 კ., ი. გერშკოვიჩი 50 კ., ნ. ზოლ. 50 კ., პ პეტრიდი 30 კ., უცნობმა 20 კ., მ. გაგუა 50 კ., ა. გოტოშია 1 მ., ნ. ალიევი 30 კ., ი. ეკიზოვი 2 მ., ლ. ლორია 1., ნ. წიბრაძე 50 კ., ჯეროიანი 20 კ., მ. სურგულაძე 50 კ., ს. სალარიძე 50 კ., რ. დეხიდორა 50 კ., ს. ტერზოპულო 50 კ., ნ. პანიევი 50 კ., ლ. მიხრანიანცი 20 კ., ი. კალაიდჟოღლი 50 კ., ხარაბოღლი 50 კ., პ. სპანიკი 50 კ., ერენტაუეტი 50, №№ 50 კ. სულ 49 მ. 39 კ.

ამ შემოწირულებასთან ერთად ვიტოვებ შემომწირველთა დედანსისას, რომელიც მოთავსებულია მოწოდების № 2-ის მეორე გვერდზედ ფულის რაოდენობითურთ, შემომწირველთა საკუთარი ხელით აღნუსხული. ხსენებული მოწოდება გადმომცა მელიტონ ოქროპირის ძე დოლიძემ, რომელიც გასულ წელს გარდაიცვალა. ამას გარდა კიდევ, მოჰკლეს მამასახლისი წეროძე, რომელზედაც, სკოლის კომიტეტიდან ნაჩვენებია მოწოდებაში, ფულის გარდაცემა. ამ გარემოებების გამო, ვინაიდან არ ვიცოდი სხვა სანდო პირი, საშუალებას მოკლებული დავრჩი გარდამეცა დანიშნულებისამებრ შემოწირულებანი, რომელიც შენახული მაქვს მე და მზათა ვარ წარვადგინო დედანი სიასთან ერთად პირველ მოთხოვნისთანავე. მხოლოდ, უმორჩილესად ვსთხოვ ამაღლების საზოგადოებას დამისახელოს გაზეთის საშუალებით მათგან ამორჩეული ისეთი სანდო პირი, რომლისთვისაც შეიძლება ფულის გარდაცემა და რომელიც ნამდვილ მიზანს მოახმარებს ხსენებულ ფულს.

პატივისცემით **ლუკა გ. ლორია.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო** მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ. მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის ხაღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) **სამგზავრო** N 6. I—II. კლ გადის დღის 2 ს. 56 წ, განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო** მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ, ბაქოში 1 ს. 44 წ.

1 ვ) **ჩქარი** მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუაღ, 1 ს. 44 წ., ბალაჯარში ხაღ. 10 ს. 2 წ. ბაქოში ხაღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული** მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო** მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) **საფოსტო** მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ პლატსკ. N 1 I—III კლ. ხაღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით ხაღ. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ, საფოსტო N 4, ხაღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** ხაფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** ხახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, ხაღ 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: ხაზ. 5 ს. 6 წ. ხაღამ.

ტყიბულისაკენ: ხაზ. 3 ს. 28 წ. დღით. ხაზ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: ხაზ. 2 ს. 25 წ ღამ., საფ 8 ს. 20 წ. ხაღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით

ბათუმიდან: ხაზ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: ხახალ. 7 ს. 14 წ დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ხაზ. 10 ს. 21 წ. დილით

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ

ტყიბულიდან: ხაზ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

**სახალხო მატ.** N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

**ხახ. მატ.** № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

ხახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის ხაღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მიხდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილისბაქოცისლავოდსკამდე, საერთაშორისო-სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საავარაკო № 76, 77, 76ა, 77ა.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

**მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:**

**ხუთშაბათობით** — ციხე - მისჯილთა (Крѣпостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**კვირაობით**—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საპყრობილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. и арестант отд). და ყველა მათი, რომელნიც სასამართლოში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**ყოველ თვის 20 რიცხვში** (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

**დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა**—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—თვით ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიჰმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

**ყოველ კვირა-ხუთშაბათს** შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რაიმე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამორთმევა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რამიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი, რომელზედაც ეწერება ვისი გადასაცემისა და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

შეიძლება გადაცემა აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდა წინ პრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.

**ვინ როდის იღებს მთხოვნელებს**

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მცხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მცხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. ქომში).

**კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ სათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

**ნ ი ს ხ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე . . . | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში . . . . | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. | — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . . | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან . | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . . | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე . | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება . . | 40 „ |

**გაზეთების მგზავნელი ბიურო**

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „Закавказская рѣчь“ „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქო'ს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი) ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.

**Bátom-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. ყიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევანი“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

**განცხადებანი**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა,

**ზ. ა. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუდიანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—70)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—56

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების ● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

**წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**

და **ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

სტამბა „ხორაშანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.